საქმე №3ბ/2740-10

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

10 მარტი, 2010 წ. ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე – ნანა კობახიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „აგრო გრუპისათვის“ საჯარო შეტყობინების მეშვეობით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 თებერვლის განჩინების გაცნობის საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე – შპს „აგრო პურის“ მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა: მოპასუხე შპს „აგრო გრუპს“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 1 404 000 ლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით შპს „აგრო გრუპს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 5000 ლარის ოდენობით გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „აგრო პურმა“, რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება პირგასამტეხლოს 104 000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 თებერვლის განჩინებით, შპს „აგრო გრუპის“ სააპელაციო საჩივარი, ხარვეზის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის გამო, დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის განჩინება აპელანტს შპს „აგრო გრუპს“ გაეგზავნა საქმის მასალებში მითითებულ მისამართზე, მიუხედავად ამისა, აღნიშნული განჩინება აპელანტს არ ჩაბარდა.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დებულებები, მიიჩნია, რომ ვინაიდან, აპელანტის მისამართი უცნობია და მისთვის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, შპს „აგრო გრუპს“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 თებერვლის განჩინების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით. ამასთან, სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge).
სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე, 285-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ადმინისტრაციულ საქმეზე №3ბ/2740-10 სააპელაციო საჩივრის ავტორი: შპს „აგრო გრუპი“, მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება; შპს „აგრო გრუპისათვის“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის განჩინების გაცნობა განხორციელდეს საჯარო შეტყობინების გზით. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge).
2. განჩინება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებიდან მე-7 დღეს.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად, ამ უკანასკნელის გასაჩივრებისათვის დადგენილი წესით.

მოსამართლე: ნანა კობახიძე

საქმე №3ბ/2740-10

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

22 თებერვალი, 2011 წელი ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

შემდეგი შემადგენლობით:

მოსამართლე – ნანა კობახიძე

აპელანტი (მოპასუხე) – შპს „აგრო გრუპი“

მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე) – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დავის საგანი – ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა – გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხე – შპს „აგრო გრუპის“ მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე შპს „აგრო გრუპს“ დაეკისრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ 1 404 000 ლარის და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 5 000 ლარის გადახდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულ იქნა შპს „აგრო გრუპის“ მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლო გაეცნო რა საქმის მასალებს, თვლის, რომ შპს „აგრო გრუპის“ სააპელაციო საჩივარი დატოვებულ უნდა იქნეს განუხილველად, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინებით, აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 10 დღის ვადა, რათა სასამართლოსათვის წარმოედგინა სააპელაციო საჩივრის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის დავის საგნის ღირებულების 4%-ის, 4160 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი დედნის სახით.

აპელანტს, ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება არაერთხელ გაეგზავნა სააპელაციო საჩივარში მითითებულ მის იურიდიულ მისამართზე (ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №141ა), დირექტორის ლევან ვადაქარიას საცხოვრებელი სახლის მისამართზე (ქ. თბილის, ძმები კაკაბაძეების ქ. №19) და საქმეში არსებულ ალტერნატიულ მისამართზე (ქ. თბილისი, ნუციბიძის ქ. №16ა). დადგენილია, რომ ყველა შემთხვევაში ხარვეზის განჩინების ასლი სასამართლოს დაუბრუნდა ადრესატისათვის ჩაუბარებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 01 თებერვლის განჩინებით დადგენილ იქნა, რომ შპს „აგრო გრუპს“ ხარვეზის დადგენის შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით. საჯარო შეტყობინება 2011 წლის 02 თებერვალს განთავსდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (**www.tbappeal. court.ge**). აღნიშნული განჩინების თანახმად, განჩინება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვალა სასამართლო შეტყობინების თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებიდან მე-7 დღეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „აგრო გრუპს“ საჯარო შეტყობინება ჩაბარდა 2011 წლის 09 თებერვალს, ხოლო მის მიერ განჩინებით დადგენილ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული.
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია განჩინების გაგზავნის შემთხვევაში გამოიყენოს იმავე კოდექსის 71.1-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. სსსკ-ის 73-ე მუხლის 11 ნაწილის თანახმად, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

ამავე კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

დასახელებული მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს

შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2-ე მუხლის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ხოლო, იმავე კოდექსის 61.3-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმდება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე.

იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს – შპს „აგრო გრუპს“ ჩაბარდა განჩინება სასამართლოს ვებგვერდის საშუალებით მისი გამოქვეყნებიდან, კერძოდ, 2011 წლის 02 თებერვლიდან მე-7 დღეს, სასამართლო უფლებამოსილია 2011 წლის 09 თებერვალი ჩათვალოს გზავნილის ჩაბარების დღედ. შესაბამისად, აპელანტისათვის ხარვეზის გამოსწორების ვადის ათვლა დაიწყო 2011 წლის 09 თებერვლიდან. ხოლო, ვინაიდან აპელანტს მიცემული ქონდა 10 დღე ხარვეზის გამოსასწორებლად, მისთვის საპროცესო ვადა ამოიწურა 2010 წლის 21 თებერვალს 24 საათზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ სასამართლოს მიერ მიცემულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლო ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 34-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 374-ე, მე-60, 61-ე, 368-369-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „აგრო გრუპის“ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნეს განუხილველად, ხარვეზის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის გამო;
2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32) მხარეთათვის განჩინების ჩაბარების მომენტიდან 12 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ᵃ).

მოსამართლე **ნანა კობახიძე**